



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№2, 2016



კონკურსები

1. 2016 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 / 2017 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 1 000 000 ლარი), შემოვიდა 17 პროექტი, 29 ივნისის სხდომაზე საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 2 პროექტი.
 - „ნამე“ - 400 000 ლარი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი - ზაზა ხალვაში).
 - „ჰორიზონტი“ - 400 000 ლარი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი“, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი).
2. 2016 წლის 6 ივნისს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 2016 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 220 000 ლარი).
3. 2016 წლის 13 ივნისს გამოცხადდა კონკურსი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 წლის წარმოების დაფინანსებით მიზნით (საკონკურსო ფონდი 150 000 ლარი).

გამოცხადდა შინაარსობრივად ახალი კონკურსები

4. 2016 წლის 15 ივნისს გამოცხადდა კონკურსი მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 – 2017 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 360 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 24.10.2016 წელი (ბეჭდური ფორმით), 17.10.2016 წელი (ელექტრონული ფორმით)
5. 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადდა კონკურსი დოკუმენტური (მოკლემეტრაჟიანი ან სრულმეტრაჟიანი) ან მხატვრული (მოკლემეტრაჟიანი) ფილმის დასრულების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 120 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 21.11.2016 წელი (ბეჭდური ფორმით), 14.11.2016 წელი (ელექტრონული ფორმით)
6. 2016 წლის 21 ივნისს გამოცხადდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2017 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 900 000 ლარი. 600 000 ლარი წარმოადგენს პირველი სადებიუტო ფილმის საკონკურსო ფონდს, ხოლო 300 000 ლარი წარმოადგენს მეორე სადებიუტო ფილმის საკონკურსო ფონდს), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 20.09.2016 წელი (ბეჭდური ფორმით), 16.09.2016 წელი (ელექტრონული ფორმით)

კომისიის წევრების შერჩევის ახალი წესი

კინოცენტრის დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება საექსპერტო კომისიის დაკომპლექტების პროცედურის გამჭვირვალობისა და კომისიის წევრთა მიმართ ნდობის ამაღლების მიზნით საექსპერტო კომისიის შერჩევაში მონაწილეობა მიიღონ თავად კონკურსში მონაწილე პროექტების ავტორებმა.

კინოცენტრის ბაზიდან, რომელიც მაღალი კვალიფიკაციის შემოქმედი მუშაკებისა და ექსპერტებისაგან არის დაკომპლექტებული, კომისიის წევრობის ყოველი კანდიდატის სახელი და გვარი იწერება ფურცლებზე და იყრება სპეციალურ ყუთში. შემდეგ კი კონკურსში მონაწილე პროექტების ავტორები თავადვე იღებენ ყუთიდან სათითაოდ ყველა ფურცელს.

კომისიის წევრობის თითოეულ კანდიდატს ენიჭება რიგითობის მიხედვით ნომერი (რა რიგითობითაც იგი იქნა ამოღებული). ეროვნული კინოცენტრი კანდიდატებს რიგითობის მიხედვით უკეთებს შეთავაზებას. თუ რომელიმე მათგანი უარს განაცხადებს შეთავაზებაზე, იგივე შეთავაზებას იღებს სიაში მის შემდგომ მყოფი კანდიდატი.

2016 წლის 1 ივნისს უკვე დაკომპლექტდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 -2017 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსის საექსპერტო კომისია ახალი წესით.



მიმდინარე პროექტები

- მოსამზადებელ პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“ რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მაგნეტ ფილმს“ რეჟისორი - უტა ბერია).
- მოსამზადებელ პერიოდშია ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი 43“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინტექი“ რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ჯიბის კაცი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კვალი XXI“ ანიმატორი - ანა ჩუბინიძე).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Polare Film“ რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროს).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიზულა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს ახალი ქართული ფილმი“ რეჟისორი - ნინო ჟვანია).
- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია -ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“ რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).

“ზოლემია”



“ჩემი ბედნიერი ოჯახი”



- სამონტაჟო პერიოდშია ერთობლივი ქართულ-უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მძევლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps Productions“ რეჟისორი - რევაზ გიგინეიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქალები რომლებიც ცურავენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი“ რეჟისორი - ანა ზუკია).



„ზიზულა“



„ურსუსი“

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „Matchhouse Film“ რეჟისორი - ანა ციმიტია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ვსაუბრობთ ფულზე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი“ რეჟისორი - სებასტიან ვინკელსი, ზაზა რუსაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანდრო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „პანსიონატი“ რეჟისორი - თორნიკე გოგრიჭიანი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნიკო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „რეფრემ სტუდია“ რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ფოკუს პროდაქშენს“ რეჟისორი - მარგალიტა ზუბაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს 20 Steps Productions, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ელიენ ქინდ“ რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“ რეჟისორი - რატი ჯებაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენიერაძე).



“ანა”



“მზის ქალაქი”

- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორნი“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი-ნათია გოგალაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARKK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოუსმინე სიჩუმეს“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „ოპიოდოკი“ რეჟისორი - მარიამ ჭაჭია).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პური და სანახაობა“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“ რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps productions“, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი).
- განვითარდა კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „სიზმარვიზია“ (პროდიუსერი - ფ/პირი თამარ სხვიტარიძე, სცენარის ავტორი - პაატა ამონაშვილი).
- განვითარდა კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „გაუმარჯოს“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ვარს სტუდო“, სცენარის ავტორი - გიორგი ვარსიმაშვილი).
- განვითარების პერიოდშია კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „გაცხადებული სიზმარი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, სცენარის ავტორი - ზურაბ ინაშვილი).
- განვითარდა კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „კოსტას კანტორა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდო 99, სცენარის ავტორები - ნინო (ნანა) ჯორჯაძე, თამარ ბართაია).
- განვითარდა კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „რაგბი ლელო“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „პილოტები“, სცენარის ავტორები - დავით ქემხაძე, თამარ სულამანიძე).

- განვითარდა კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „როგორ გაჩნდნენ ცივინათელები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „5 პერსონს სტუდიო“, სცენარის ავტორი -სალომე ბენიძე).
- განვითარდა კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მიდი ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი და სცენარის ავტორი - მარი გულბიანი).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „ტერორისტი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“ რეჟისორი და სცენარის ავტორი - ირაკლი მახარაძე).
- განვითარდა კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „ორი სამყარო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ევროპული ბიზნეს ცენტრი“ რეჟისორი - შალვა შენგენი, სცენარის ავტორი - ნინო ჩუტკერაშვილი).
- განვითარდა კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „რინგი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „რეალ ი-თი ფილმსი“ რეჟისორი და სცენარის ავტორი - შორენა თევზაძე).
- განვითარდა კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი P„ქალაქი PSU“ P (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბისსტუდია“ რეჟისორი და სცენარის ავტორი - ბესო სოლომანაშვილი).
- განვითარდა კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი “უხილავი დინებები” (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ინტერდოკი“ რეჟისორი და სცენარის ავტორი - თამთა ხალვაში).
- განვითარდა კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „ზედმეტი ადამიანები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჭიაურელი ბრაზერს არტ სტუდიო“ რეჟისორი და სცენარის ავტორი - ანდრო ჭიაურელი).
- განვითარდა კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „თაობა“ (პროდიუსერი - ი/მ ნინო ქოიავა შარაშენიძე, რეჟისორი - თათია ახლაშენაშვილი, სცენარის ავტორი - ანუკი ბურდული).

“დედე”



- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ბალიაური“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია - 99“ სცენარის ავტორები - ვაჟა გიგაშვილი, დავით ჯანელიძე).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ქაქუცა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“ სცენარის ავტორი - მიხო მოსულიშვილი).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნალი“ სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „წვიმა ორ ნაპირზე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების დამოუკიდებელი სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, სცენარის ავტორი - ზაზა ხალვაში).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „გაბრაზებული პარფიუმერი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბისსტუდო“ დირექტორი - ბესიკ სოლომანაშვილი, სცენარის ავტორები - ბესიკ სოლომანაშვილი, რუსუდან შარაძე).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ქვეყნის მტერი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ვარს-სტუდია“ სცენარის ავტორი - გიორგი ვარსიმაშვილი).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ერგეშვა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „აბკ სტუდია“ სცენარის ავტორი - დავით ქვარცხავა).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „შავი მერცხლის ფრენა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კავკასიური ფილმოდრომი“ სცენარის ავტორი - გივი (ბესო) ოდიშარია).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ასინქრონი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნიკე სტუდო“ სცენარის ავტორი - ეკატერინე ტოგონიძე).
- განვითარდა 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „უღელტეხილი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“ სცენარის ავტორი - გურამ ოდიშარია).
- განვითარდა 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „დიდი ძუ დათვი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლირა ფროდაქშენი“ სცენარის ავტორი - მიხეილ მოსულიშვილი).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „მოქალაქე წმინდანი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ სცენარის ავტორები - გია ალავიძე, თინათინ ყაჯრიშვილი).
- განვითარდა 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „კავკასიური ფოქსტროტი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „თეიქს ფილმი“ სცენარის ავტორები - ირაკლი შავლიაშვილი, ზურაბ ქარუმიძე).

ზურაბ მაღალაშვილი - ეროვნული კინოცენტრის ახალი დირექტორი

ეროვნულ კინოცენტრს ახალი დირექტორი ჰყავს. 26 აპრილს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ზურაბ მაღალაშვილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა წარადგინა.

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურის კონკურსის წესით შესარჩევად შეიქმნა მინისტრის საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობა საქართველოს კინოაკადემიის მიერ განისაზღვრა.

კონკურსის გამოცხადებიდან 1 კვირის ვადაში, სამინისტროში შემოვიდა სულ 13 საკონკურსო განაცხადი. შედგა როგორც გასაუბრება, ასევე 4 სამუშაო შეხვედრა. კინოცენტრის განვითარების სამწლიანი გეგმისა და გასაუბრების საფუძველზე გამარჯვებული ზურაბ მაღალაშვილი გახდა.



საქართველო კანის 69-ე კინოფესტივალზე

ეროვნული კინოცენტრი კანის კინობაზრობაზე წელს მეცხრედ იყო წარმოდგენილი. საქართველოს პავილიონში (#105, Village International Riviera) მუშაობდნენ კინოცენტრის დირექტორი - ზურაბ მაღალაშვილი, ევრიმაჟში საქართველოს წარმომადგენელი - თამარ ტატიშვილი, დისტრიბუციისა და ექსპორტის დეპარტამენტის უფროსი - დავით ვაშაძე და პროექტების მენეჯერი - ნინო შერვაშიძე.

გაიმართა არაერთი საინტერესო შეხვედრა სხვადასხვა კინოფესტივალის, კინოფონდის თუ საპროდიუსერო კომპანიის წარმომადგენლებთან.



ქართველი კინემატოგრაფისტები კანში

კანის ფესტივალზე წელს საქართველო არაერთ პროგრამაში იყო წარმოდგენილი.

დიდი წარმატებაა, რომ სექციაში Directors' Fortnight მონაწილეობდა დეა კულუმბეგაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი “ლეა”, რომლის მსოფლიო პრემიერაც სწორედ ფრანგულ რივიერაზე წარმატებით გაიმართა.

ფესტივალის კინობაზრობაზე “მსოფლიო პავილიონში” Cinema du Monde თინათინ ყაჯრიშვილის და ლაშა ხალვაშის პროექტი “მოქალაქე წმინდანი” იღებდა მონაწილეობას, სცენარის განვითარების პროგრამის Script East ფარგლებში კანში რუსუდან ჭყონიას პროექტის „ვენეცია“ პრეზენტაცია გაიმართა, პროდიუსერთა საერთაშორისო პლატფორმაზე PRODUCERS ON THE MOVE კი საქართველო ქართველმა პროდიუსერმა ნინო დევდარიანმა წარადგინა.

შეხვედრები კინოფესტივალების წარმომადგენლებთან

ბოლო წლებში ქართული ფილმების წარმატებამ განაპირობა ის, რომ ქართული კინოინდუსტრიით ინტერესდებიან ისეთი ფესტივალები როგორებიცაა:

- Berlinale
- Toronto International Film Festival
- San Sebastian Film Festival
- Visions du Réel
- Festival del Film Locarno
- Venice Film Festival



კანის კრიტიკოსთა კვირეული

კანის „კრიტიკოსთა კვირეულის“ ხელმძღვანელთან შარლ ტესონთან და პროგრამის მენეჯერთან რემი ბონომისტან შეხვედრისას დაიგეგმა კრიტიკოსთა კვირეულის 2016/2017 წლების ფილმების ჩვენება საქართველოში და ადგილობრივი ახალგაზრდა კრიტიკოსებისთვის მასტერკლასის ორგანიზება.

- SOFA 2017

შედეგად შეხვედრა კინოაგენტების სკოლის SOFA დირექტორთან ნიკოლაი ნიკიტინთან. ნიკიტინი აპრილის შუა რიცხვებში თავად სტუმრობდა თბილისს, რათა SOFA-ს ვორქშოპისთვის ქართველი მონაწილე შეერჩია. ვორქშოპი 19-28 აგვისტოს ქალაქ ვროცლავში (პოლონეთი) ჩატარდება.

ნიკიტინთან შეხვედრისას კანში განიხილეს 2017 წელს საქართველოს ჩართვის პერსპექტივა SOFA-ს საორგანიზაციო ჯგუფში, რათა კინოაგენტების სკოლის ვორქშოპი საქართველოშიც ჩატარდეს.

- EAVE (European Audiovisual Entrepreneurs)

შედეგა შეხვედრა პროდიუსერთა ევროპული ასოციაციის, იავეს ხელმძღვანელთან თინა ტრაპთან, სადაც დაიგეგმა პროდიუსერებთან, სცენარისტებთან და რეჟისორებთან ერთად ვორქშოპის ჩატარება.

- MAIA Workshops

MAIA Workshops საერთაშორისო პროგრამაა ახალგაზრდა პროდიუსერებისთვის, რომელიც წელს სნაგოვში (რუმინეთი) 11-15 აპრილს ჩატარდა. ვორქშოპისთვის შერჩეული 20 პროდიუსერს შორის მსოფლიოს 12 ქვეყნიდან მოხვდა ქართველი პროდიუსერი ქეთი დანელია.

მაია ვორქშოპის ხელმძღვანელთან, გრაციელა ბილდესჰაიმთან შეხვედრის შემდეგ დაიგეგმა MAIA Workshops-თან სამომავლო თანამშრომლობა.

- მემორანდუმი ბასკეთის აუდიოვიზუალურ ცენტრთან

ბასკეთის აუდიოვიზუალური ცენტრის წარმომადგენელთან შეხვედრისას დაიგეგმა ეროვნულ კინოცენტრთან მემორანდუმის გაფორმება სან სებასტიანის კინოფესტივალის ფარგლებში. მემორანდუმის მიზანია ქართულ-ბასკური პროექტების შექმნა და მხარდაჭერა.

- Greek Film Centre

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა საბერძნეთის კინოცენტრმა. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ორ ქვეყანას შორის კულტურული კავშირების გაუმჯობესება და ერთობლივი კინოპროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა. საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული დიასპორა სიდიდით მესამეა მსოფლიოში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ საბერძნეთში გაყიდვების ლიდერი იყო.

- Cash Rebate

15 მაისს კანის კინოფესტივალზე მსოფლიო კინოინდუსტრიის წარმომადგენელთათვის Cash Rebate-ს, ანუ ნაღდი ფულის უკან დაბრუნების სისტემის წარდგენა გაიმართა. პრეზენტაცია ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა ზურაბ მაღალაშვილმა გახსნა, შემდეგ კი Harbour of Cannes-ში შეკრებილ კინოინდუსტრიის 120-მდე წარმომადგენელს Cash Rebate-ს სქემა საქართველოს კინოკომისიისა და ეროვნული კინოცენტრის კინოექსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით ვაშაძემ წარუდგინა.

საქართველოში ფილმების გადაღებით დაინტერესდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრიტანეთი და რუსეთი.

ნინო ბასილიამ ვალენსიასა და ბუენოს აირესში მთავარი ჭილდოები მოიპოვა

ვალენსიის საერთაშორისო კინოფესტივალზე CINEMA JOVE ქართველმა რეჟისორმა ნინო ბასილიამ ფილმისთვის “ანას ცხოვრება” ფესტივალის გრან პრი მოიპოვა.

ეს ფილმისთვის უკვე მეორე საერთაშორისო ჯილდოა. “ანას ცხოვრება” რამდენიმე თვის წინ კინოფესტივალზე Construir Cine მთავარი პრიზის Merit Award მფლობელი გახდა.

“ანას ცხოვრება” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომლის მსოფლიო პრემიერა შვედეთში გოტებორგის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. იგი ინგმარ ბერგმანის პრიზზე იყო წარდგენილი. მას შემდეგ ფილმი არაერთ კინოფესტივალზე მიიწვიეს.



სალომე ჯაშის ნიონის კინოფესტივალზე მთავარი ჭილდოს მფლობელი გახდა

სალომე ჯაშის ფილმმა “დაისის მიზიდულობა”, რომელიც ნიონის საერთაშორისო კინოფესტივალზე Visions Du Reel საკონკურსო პროგრამაში იყო წარდგენილი, მთავარი ჯილდო (The Main Prize of Regard Neuf section) აიღო.

“დაისის მიზიდულობა” საქართველოს და გერმანიის კოპროდუქციაა. იგი რეგიონული სატელევიზიო არხის საშუალებით ერთი პატარა ქალაქის შესახებ მოგვითხრობს, სადაც რიტუალები და ტრადიციები, ნორმები და დოგმები ცხოვრების წესს განსაზღვრავს და სადაც თანამედროვე მსოფლიოს ანარეკლიც იჭრება.

კინოფესტივალი შვეიცარიაში 15-23 აპრილს ჩატარდა.

ქეთი ცხაკაია პეკინის კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობ ქალად აღიარეს

ლევან თუთბერიძის ფილმი “მოირა” პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალზე საკონკურსო სექციაში Tiantan Awards იღებდა მონაწილეობას. ფილმში შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისთვის კი ქართველი მსახიობი ქეთი ცხაკაია საუკეთესო ქალი მსახიობი გახდა.

ამავე კინოფესტივალის კიდევ ერთ საკონკურსო სექციაში Forward Future ნინო ბასილიას ფილმი “ანას ცხოვრება” იღებდა მონაწილეობას.



ანსის კინოფესტივალზე ქართულმა დელეგაციამ მსოფლიო კინოინდუსტრიის წარმომადგენლები დააინტერესა

წელს ფესტივალს საქართველოდან 17 კინემატოგრაფისტი ესწრებოდა.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამაში აჩვენეს მამუკა ტყეშელაშვილის ანიმაციური ფილმი “მზის ჩასვლა”.

კინოფესტივალის ბაზრობაზე საკუთარი პროექტები წარადგინეს სანდრო ქათამაშვილმა და ტატო კოტეტიშვილმა.

ორივე ქართულმა პროექტმა მსოფლიო ანიმაციური კინოინდუსტრიის წარმომადგენლების დიდი მოწონება დაიმსახურა და ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერთობლივ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

ანა ჩუბინიძე პროექტით “ჯიბის კაცი” პროგრამაში Artist-in-Residence 2016 იღებდა მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ კინოფესტივალის ჟიურიში წელს ქართველი რეჟისორი ნანა ჯანელიძე მიიწვიეს. იგი სატელევიზიო ანიმაციურ ფილმებს აფასებდა.

მსოფლიოს გამორჩეული ანიმაციური ფესტივალების ორგანიზატორების შეკრებაზე “Meet Festival Programers”, წელს უკვე მეორედ, მარიამ კანდელაკი წარმოადგენდა ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალს.

წელს ფესტივალს ასევე ესწრებოდნენ სტუდიის QUBITZ პროდიუსერი ირაკლი ღარიბაშვილი და ნიქოზისა და თოფუზის საერთაშორისო კინოფესტივალების საორგანიზაციო ჯგუფი.



ქართული ფილმები ლინცის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ავსტრიაში, ლინცის საერთაშორისო კინოფესტივალზე Crossing Europe 3 ქართული ფილმი იღებდა მონაწილეობას.

ფესტივალზე აჩვენეს დავით ფირცხალავას მოკლემეტრაჟიანი ფილმი “მამა”, უგის ოლტეს “ორმაგი უცხოები”, სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმისა და დავით მესხის ფილმი „როცა დედამიწა მსუბუქია“ კი კინოფესტივალის დოკუმენტური კინოს საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი.

მარიამ ჭაჭიას ფილმი “მოუსმინე სიჩუმეს” ლასალის კინოფესტივალზე

მარიამ ჭაჭიას სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი “მოუსმინე სიჩუმეს” ლასალის საერთაშორისო კინოფესტივალზე DOC-Cévennes იყო წარმოდგენილი.

ფესტივალის ორგანიზატორებმა ჩათვალეს, რომ ფილმს “მოუსმინე სიჩუმეს” მხატვრულის გარდა საგანმანათლებლო მიმართულებაც აქვს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი პოსტ პროდუქციის ეტაპზეა, რეჟისორთან შეთანხმებით გადაწყდა ფესტივალზე ფილმის 2 ეპიზოდის ჩვენება.

“მოუსმინე სიჩუმეს” არის ფილმი სიჩუმის სამყაროზე, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან ადგილას მდებარეობს.

საქართველომ ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალს უმასპინძლა

24-26 ივნისს, ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, თბილისში, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში, ახალგაზრდული კინოფესტივალი „ჯიფონი საქართველო 2016“ ჩატარდა, რომელშიც 13-დან 18 წლამდე ასაკის, 6 ქვეყნის 350 ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობა (საქართველო, იტალია, მაკედონია, ხორვატია, სომხეთი, აზერბაიჯანი).

საქართველომ ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალს უკვე მესამედ უმასპინძლა.

კინოფესტივალის პროგრამა, გარდა კინოჩვენებებისა, ითვალისწინებდა დისკუსიებს, რეჟისორებსა და მსახიობებთან შეხვედრებს, სემინარებს და სხვა აქტივობებს. ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ანიმაციის, სცენარის წერის, კადრიერების, კინოპოსტერების შექმნის ვორკშოპებში.



ფესტივალის მსვლელობისას საქართველოს ეწვივნ ჯიფონის კინოფესტივალის წარმომადგენლები: ფესტივალის დამაარსებელი და დირექტორი კლაუდო გუბიტოზი, ფესტივალის პრეზიდენტი პიერო რინალდი და დირექტორის მოადგილე მარკო ჩეზარო.

ფესტივალის წამომადგენლები ეროვნული კინოცენტრის დირექტორს, ზურაბ მაღალაშვილს და ფესტივალის ქართული ანალოგის Giffoni Georgia ხელმძღვანელს ირმა ჯანჯღავას შეხვდნენ.



ფესტივალის დასასრულს დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ორგანიზატორებმა, იტალიელმა სტუმრებმა და ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა ზურაბ მაღალაშვილმა.

მოზარდებმა გამოავლინეს გამარჯვებული ფილმები - „Lore“ და „Sanctuary“, ფესტივალი კი ქართული პოპ დუეტის „SvanSikh“ კონცერტით საზეიმოდ დაიხურა.

„ჯიფონი-საქართველო 2016“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და იტალიის საელჩოს მხარდაჭერით ჩატარდა.

ბათუმის საავტორო კინოს XI საერთაშორისო ფესტივალი

22 ივნისს, კულტურის სამინისტროში, ბათუმის საავტორო ფილმების მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა.

მედიას ფესტივალის პროგრამისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა, ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა ზურაბ მაღალაშვილმა, ფესტივალის დირექტორმა გიორგი გოგიბერიძემ და ფესტივალის მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა.

ბათუმის კინოფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ინდუსტრიული პლატფორმა “ალტერნატიული ტალღა”, რომელმაც უკვე დაიწყო 2016 წლის გამოშვებისთვის აპლიკაციების მიღება. წელს “ალტერნატიული ტალღის” თემა იქნება - დაბალბიუჯეტური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტების განვითარება, უცხოელი და ქართველი ინდუსტრიის გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით.

ბათუმის საავტორო ფილმების მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალი წელს პროექტის „Check in Georgia“ ფარგლებში, 18-25 სექტემბერს ჩატარდება.



ფესტივალმა “ოქროს პეპელა” გამარჯვებულები გამოავლინა

1 ივნისს ევროპულ სკოლაში საერთაშორისო საბავშვო ფესტივალის “ოქროს პეპელა” დახურვის ცერემონია გაიმართა.

ფესტივალზე სელექცია გაიარა 10 ქვეყნის 40-მა ფილმმა, ხოლო გამარჯვებული და “გრან პრის” მფლობელი გახდა ფილმი აბაშიდან “ველოსიპედი”.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული კინოცენტრის პროექტის “კინო სკოლაში” მონაწილე მოზარდებმა ფესტივალზე რამდენიმე ჯილდოს მოპოვება მოახერხეს.

ფესტივალის დასკვნით ღონისძიებას ესწრებოდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი, რომელმაც კინოცენტრის სახელით ფილმს “შელოცვა” სპეციალური პრიზი გადასცა.

კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტის წარდგენა ლოს ანჯელესში

ლოს ანჯელესში პროგრამის “გადაიღე საქართველოში” წარდგენა მოხდა.

ამერიკულ ბაზარზე მოქმედ კინომწარმოებლებსა და საპროდიუსერო კომპანიების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია პროგრამის შესახებ, რომელიც რამოდენიმე თვეა დაემატა სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ და დიდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო კინომწარმოებლებს შორის. ლოს ანჯელესში ასევე იმყოფებოდა ეროვნული კინოცენტრის ექსპორტისა და დისტრიბუციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ვაშაძე.

ღონისძიების ფარგლებში ქართულმა მხარემ შეხვედრები გამართა ისეთი ცნობილი კომპანიების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა: Disney, ICM Talent Agency, Motion Picture Association, CAA Talent Agency.

კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს.

პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება და პროგრამაში ჩასართავად საჭირო აპლიკაციის ფორმის მოძიება შესაძლებელია ვებგვერდზე: www.filmingeorgia.ge



ქართველ კინოკომისიონერ დავით ვაშაძეს ლოს ანჯელესში პრესტიჟული ჯილდო გადაეცა

კინოკომისიების საერთაშორისო ასოციაცია ყოველწლიურად 300-ზე მეტი კინოკომისიიდან მხოლოდ ერთ გამარჯვებულს ავლენს.

წელს ასოციაციამ საქართველოს კინოინდუსტრია ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და პერსპექტიულ ადგილად მიიჩნია, გამარჯვებულად კი საქართველოს კინოკომისიონერი დაასახელა.

დავით ვაშაძეს ცნობილი კინომოღვაწის დენსი ჯონსის სახელობის პროფესიული განვითარების სტიპენდია გადაეცა. ეს პრესტიჟული ჯილდო წელს მეექვსედ გაიცა.

საქართველოს კინოკომისია კინოცენტრის ერთ-ერთი მიმართულებაა. მისი მთავარი მიზანია ქართველი და უცხოელი კინომწარმოებლებისთვის გადაღებების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ბოლივუდი საქართველოში მასშტაბურ ფილმს “MACHINE” იღებს

ბოლივუდი საქართველოში მის ერთ-ერთ მასშტაბურ კინოპროექტზე “Machine” მუშაობს. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბოლივუდი ფილმის ყველა სცენას საქართველოში გადაიღებს.

“Machine” რომანტიკული თრილერია, რომელიც 2 გოგოსა და 2 ბიჭის დამაბული ურთიერთობების შესახებ მოგვითხრობს. ფილმის მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ნომრებში მონაწილეობას ქართველი მსახიობებიც იღებენ.

გადაღებები უკვე დაწყებულია. იგი 65 დღის მანძილზე გაგრძელდება და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოიცავს.

“Machine” ბოლივუდის ყველაზე მასშტაბური კინოპროექტია საქართველოში, რომელზეც „Betterfly Production” და „Abbas Mustan” ერთობლივად მუშაობენ. პროექტი ინიცირებულია მუმბაიში, ინდოეთში საქართველოს საპატიო კონსულის Satinder S Ahuja მიერ. პროექტის განხორციელებაში ასევე ჩართულია SIA TRADING CORPORATION, რომელსაც Amit Tandon წარმოადგენს.

ფილმის მწარმოებელი კომპანია ერთ-ერთი პირველი იქნება, რომელიც ქეშ რიბეითის სქემით ისარგებლებს.

ქეშ რიბეითი არის ნადი ფულის უკან დაბრუნების სისტემა, რომლის თანახმად, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ფილმის წარმოების ხარჯებიდან შესაძლოა გამოიყოს კვალიფიციური ხარჯი. ამ ხარჯის 20% კი ფილმის მწარმოებელ კომპანიას უკან დაუბრუნდება.





ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი ახალ ფილმზე მუშაობენ

ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი ახალ მხატვრულ ფილმზე „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ მუშაობენ.

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ თბილისში მცხოვრები ერთი ქართული ოჯახის შესახებ მოგვითხრობს, სადაც სამი თაობის წარმომადგენელი ერთ ოჯახში, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს. ფილმის მთავარი პერსონაჟი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მანანა მხეიძეა, რომელიც ერთ დღეს საკუთარი ცხოვრების შეცვლას მოინდომებს. ფილმში მთავარ როლს მსახიობები ია შულღიაშვილი და მერაბ ნინიძე ასრულებენ.

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. იგი საქართველოს, გერმანიისა და საფრანგეთის ერთობლივი კინოპროდუქციაა. ფილმი ეროვნული კინოცენტრის სუბსიდიით, ასევე გერმანიის ტელეარხის ZDF და ევრიმაჟის ხელშეწყობით იქმნება.

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ კინოინდუსტრიის წახალისების სახელმწიფო პროგრამით „გადაიღი საქართველოში“ ისარგებლებს.

ჰოლივუდის ლოკაციის მენეჯერებმა საქართველოში ვიზიტი დაასრულეს

საქართველოს ერთი კვირის განმავლობაში, კინოგადაღებების კუთხით ქვეყნის პოტენციალის შესასწავლად, ჰოლივუდის ლოკაციის მენეჯერები და პროდიუსერები სტუმრობდნენ.

ცნობილი ჰოლივუდელი კინომწარმოებლების წარმომადგენლები ე.წ. ლოკაციის მენეჯერები, რომლებსაც ისეთ ფილმებზე აქვთ ნამუშევარი, როგორებიცაა : „Transformers“, „Captain America“, „The Town“, „The Hangover“, „Sicario“, „Mission:Impossible“, კინოინდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში 20-დან 26 ივნისის ჩათვლით საქართველოს სხვადასხვა რეგიონს ათვალიერებდნენ. მათ ერთი კვირის განმავლობაში თბილისი, რუსთავი, კახეთი, მცხეთა, ყაზბეგი, უფლისციხე, წყალტუბო, ზუგდიდი, მესტია და ანაკლია მოინახულეს. სწორედ აღნიშნული პირების რეკომენდაციაზე დამოკიდებული ქვეყანაში ახალი ფილმების შემოსვლა, მათი შთაბეჭდილება კი საკმაოდ პოზიტიურია და საქართველოთი დაინტერესებაც დიდია. ჰოლივუდის დელეგაციას მეწარმეობის განვითარების სააგენტო საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან ერთად მასპინძლობდა.



ლონდონში საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლის იუბილე აღინიშნა

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, სპეციალური ლიტერატურული პროგრამის ფარგლებში ლონდონში საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლის იუბილე 11-17 აპრილს აღინიშნა.

ქართული წარმოშობის ცნობილი მწერალი ბორის აკუნინი, აკა მორჩილაძე, ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი და ზურაბ ქარუმიძე უცხოელ კოლეგებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას საქართველოს ისტორიისა და კულტურის ყველა მნიშვნელოვან ეტაპს აცნობდნენ. კინოჩვენებებს კი Regent Street Cinema მასპინძლობდა. ფილმები ლონისძიების ორგანიზატორებმა ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობის შედეგად თავად შეარჩიეს.

ლონდონში აჩვენეს შემდეგი ქართული ფილმები: “მოირა” , “გასეირნება ყარაბაღში” , “ნეტავი იქ თეატრი არის?!” , “ზანდიტები” , “აპრილის სუსხი” , “დახშული სივრცე” , “ვედრება” , “მონანიება” , “ნატვრის ხე” , “ყაჩაღები თავი VII”.



ოდესაში ქართული კინოს ფესტივალი გაიმართა

ლონისძიება 27 მაისს ზაზა ურუშაძის “მანდარინებით” გაიხსნა. ცნობილი ქართველი რეჟისორების ნამუშევრებს ოდესის კინოთეატრი Инотеатр მასპინძლობდა. ოდესაში შედგა შემდეგი წარმატებული ქართული ფილმების ჩვენება: “მანდარინები”, “შემთხვევითი პაემნები”, “პატარძლები”, “ბოლო გასეირნება”, “სამი სახლი”, “სიმინდის კუნძული”, “გაღმა ნაპირი”, “სეზონი”.

ლონისძიებას ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საელჩო უკრაინაში და საქართველოს საკონსულო ოდესაში.

ქართული ფილმი „ძმა“ საქართველოს კინოთეატრებში

საქართველოს კინოთეატრებში ქართული ფილმი „ძმა“ გამოვიდა. საპრემიერო ჩვენება 26 მაისს კინოთეატრ „ამირანში“ 19:00 საათზე გაიმართა.

ფილმი 90-იანი წლების თბილისზე მოგვითხრობს, სადაც ტონი მონტანას და ვიტო კორლეონეს ისტორიებით გატაცებული 17 წლის გიორგი, ცდილობს მის უმცროს პიანისტ ძმას ოცნებების ახდენაში დაეხმაროს.

ფილმში მთავარ როლებს კახი კავსაძე, ირაკლი რამიშვილი, ზუკა ცირეკიძე, ნატაშა შენგელაია და ელენა გლურჯიძე ასრულებენ.

„ძმა“ საქართველო - საფრანგეთის კოპროდუქციაა. იგი ეროვნული კინოცენტრის, ევრიმაჟის, არტეს (france cinema), ფონდის Gan pour le cinema და MPM Film-ის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ფილმის რეჟისორები არიან თეონა და ტიერ გრენადეები, ხოლო პროდიუსერები - მარი-პიერ მასია, ჟულიეტ ლეპუდლ, ზურაბ მაღალაშვილი და სულიკო წულუკიძე.



„პური და სანახაობა“ - ახალი ქართული ფილმის პრემიერა

3 ივნისს, 18:00 საათზე კინოთეატრი „ამირანი“ ახალი დოკუმენტური ფილმის „პური და სანახაობა“ პრემიერას მასპინძლობდა.

ფილმი უვადო პატიმრობაში მყოფი დათვების შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც რკინის გალიებში ბრაკონიერების გამო მოხვდნენ.

„პური და სანახაობა“ ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორია ზურაბ ინაშვილი.

“ჩეჩნეთის გზაჯვარედინი” - ახალი ქართული ფილმი ომის ჟურნალისტებზე

25 აპრილს კინოთეატრი “ამირანი” ალექსანდრე კვატაშიძის დოკუმენტური ფილმის - “ჩეჩნეთის გზაჯვარედინი” სპეციალურ ჩვენებას მასპინძლობდა. ჩვენება მედიის წამომადგენლებისთვის გაიმართა.

ფილმზე რეჟისორი 15 წლის მანძილზე მუშაობდა და თავად არის ფილმის მთხრობელი. 22 წლის ასაკში იგი ფოტოგრაფად წავიდა ჩეჩნეთის ომში.

“ჩეჩნეთის გზაჯვარედინი” ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. იგი საქართველოს, ესტონეთის, საფრანგეთისა და გერმანიის კოპროდუქციაა.

ფილმის პრემიერა შემოდგომაზე იგეგმება.



ფილმის „როცა დედამიწა მსუბუქია“ ჩრდილოეთ ამერიკული პრემიერა

სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის ფილმის „როცა დედამიწა მსუბუქია“ ჩრდილოეთ ამერიკული პრემიერა კანადაში გაიმართა. ფილმი ტორონტოს დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალის HotDocs არასაკონკურსო პროგრამაში World Showcase აჩვენეს.



სალომე ჯაშის ფილმის ბრიტანული პრემიერა ფესტივალზე OPEN CITY შედგა

ფესტივალი 21-26 ივნისს ლონდონში ჩატარდა, სალომე ჯაშის ფილმი კი კინოთეატრში PICTUREHOUSE CENTRAL 22 ივნისს აჩვენეს.

„დაისის მიზიდულობა“ ძირითადად წალენჯიხის რაიონშია გადაღებული. იგი „საქდოკ ფილმის“ პროდუქციაა, რომელიც საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, რობერტ ბოშის ფონდის, საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და ფრანგულ-გერმანული საზოგადოებრივი მაუწყებლის „არტეს“ მხარდაჭერით შეიქმნა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა ნიონის კინოფესტივალზე შედგა, სადაც სალომე ჯაშმა მთავარი ჯილდო The Main Prize of Regard Neuf section მოიპოვა.

შვედეთის კინოცენტრის დირექტორის, ანა სერნერის ლექცია ეროვნულ კინოცენტრში

შვედეთის კინოცენტრის დირექტორი ანა სერნერი საქართველოში ჩამოვიდა.

14 ივნისს იგი შვედეთის ელჩთან, მარტინა ქუიკთან ერთად საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორს, ზურაბ მაღალაშვილს შეხვდა, რის შემდეგაც ეროვნულ კინოცენტრში ჩაატარა ლექცია თემაზე “ქალების ინტეგრაცია კინემატოგრაფიაში”.

ლექციას ცნობილი ქართველი რეჟისორი ქალები ესწრებოდნენ.



შტეფან ტოლცის ვორქშოპი გოეთეს ინსტიტუტში

26 აპრილს შტეფან ტოლცმა გოეთეს ინსტიტუტში კრეატიული სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარების ვორქშოპის დამასრულებელი სესიები გამართა.

ვორქშოპს ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული დოკუმენტური პროექტების ავტორები დაესწრნენ.

შტეფან ტოლცი ტიტულოვანი რეჟისორი და პროდიუსერია, რომელსაც 30 დოკუმენტური ფილმის შექმნაში აქვს მონაწილეობა მიღებული და კინოსფეროში 25 წლიან გამოცდილებას ფლობს.

ანა ჩუბინიძე ანიმაციურ ფილმზე ფოლიმაჟის წარმომადგენელთან ერთად მუშაობს

ანა ჩუბინიძე მის ანიმაციურ ფილმზე “ჯიბის კაცი” ცნობილი ფრანგული ანიმაციური სტუდიის “ფოლიმაჟი” წარმომადგენელთან, მარიონ შარიესთან ერთად მუშაობს, რომელიც თბილისს სამუშაო ვიზიტით ესტუმრა. “ჯიბის კაცი” პირველი ქართულ-ფრანგული კოპროდუქცია იქნება.

ანიმაციური ფილმი “ჯიბის კაცი” კინოსტუდიის “კვალი XXI” ბაზაზე იქმნება. მისი დასრულება 2016 წლის დეკემბრის თვეში იგეგმება, მანამდე კი მის ნაწყვეტს “ნიქოზის” ანიმაციური ფილმების ფესტივალზე უჩვენებენ.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების ცენტრი ნაწარმოების წიგნად გამოშვებას გეგმავს.



კინოფირების საცავების შესწავლა-შეფასება იწყება

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, იწყებს თბილისში არსებული კინოფირების საცავების მონახულებას და მათი მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას.

30 ივნისს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურა მაღალაშვილი და ეროვნული არქივის დირექტორი თეონა იაშვილი დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია “მემატიანეს”, კინოსტუდია “ქართული ფილმის” და საზოგადოებრივი მაუწყებლის საცავებს სტუმრობდნენ.

პირველ ეტაპზე, ქართული კინოკლასიკის გადასარჩენად იგეგმება ამ ფირების გაწმენდა-დახარისხება, ახალ ყუთებში გადატანა და რესტავრირება, ასევე, რუსეთის სახელმწიფო არქივში დაცული ქართული ფილმების დაბრუნება, ეტაპობრივად მათი ციფრულ ფორმატში გადატანა და თანამედროვე სტანდარტების საცავში განთავსება.

საქართველოში დაცული სხვადასხვა ტიპის ფირის სრული რაოდენობა დაახლოებით 120 000-მდე კოლოფია. უნიკალური კინოფირების დიდი რაოდენობა დღემდე რამდენიმე ენთუზიასტი პროფესიონალის წყალობით შენარჩუნდა. ბევრი მათგანი კინოსტუდია “ქართულ ფილმში” მომხდარი ხანძრის დროს განადგურდა.



ეროვნულ კინოცენტრსა და გოსფილმოფონდს შორის მოლაპარაკებების პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა

დასრულდა მოლაპარაკებების პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც რუსეთის ფილმსაცავში „გოსფილმოფონდი“ დაცული ქართული კინოს ოსტატების მიერ 1921 – 1991 წლამდე პერიოდში შექმნილი ფილმების საწყისი მასალებიდან ასლების დამზადებასა და მათ საქართველოში დაბრუნებას გულისხმობს.

ხელშეკრულება ეროვნულ კინოცენტრსა და გოსფილმოფონდის შესახებ ორმხრივად არის ხელმოწერილი.

პროექტმა “კინო სკოლაში” ევროკავშირის პროგრამის CREATIVE EUROPE დაფინანსება მოიპოვა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებულმა პროექტმა “კინო სკოლაში” ევროკავშირის პროგრამის Creative Europe დაფინანსება მიიღო.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, 24 ივნისს, კულტურის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და ეროვნული კინოცენტრის რეგიონული პროექტების დეპარტამენტის უფროსი კოტე ჩლაიძე გაუძღვნენ.

ევროკავშირის პროგრამის “შემოქმედებითი ევროპა” ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება მოხმარდება პროექტის “კინოს კოლაში” ვებ-პორტალის შემნას, სადაც განთავსდება სასწავლო მასალები, ონლაინ ფილმების კატალოგი და სხვა; ასევე პროექტის ფარგლებში, კინოცენტრს ექნება წვდომა მსოფლიო კინოშედეგებზე და ქართული ფილმების განთავსების შესაძლებლობა ამავე პორტალზე.



ორმა ქართულმა პროექტმა IDFA BERTHA FUND-ის დაფინანსება მოიპოვა

დაფინანსდა თინათინ გურჩიანის დოკუმენტური ფილმის პროექტი “სატრფიალო. პასტორალი” და რატი ონელის დოკუმენტური ფილმის პროექტი “მზის ქალაქი”.

IDFA Bertha Fund ამსტერდამის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ფონდია.

ფონდი 1997 წლიდან არსებობს და ამ პერიოდის განმავლობაში 500 პროექტის მხარდამჭერი გახდა.

საქართველო MAIA WORKSHOPS-ზე

MAIA Workshops საერთაშორისო პროგრამაა ახალგაზრდა პროდიუსერებისთვის, რომელიც წელს სნაგოვში (რუმინეთი) 11-15 აპრილს ჩატარდა.

ვორჟშოპისთვის შეირჩა 20 პროდიუსერი მსოფლიოს 12 ქვეყნიდან, მათ შორის მოხვდა ქართველი პროდიუსერი ქეთი დანელია.

ქეთი კომპანია თეიქს ფილმს წარმოადგენს ანა სარუხანოვას და კატალინა ბაქრაძის პროექტით “All the Wishes Come True”.



www.gnfc.ge



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge